საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1177-01-2-202306141006 N 01/1177
14/06/2023

საქართველოს მოქალაქე თეკლა ადამიას
foi+request-2666-366d8723@askgov.ge

ქალბატონო თეკლა,

თქვენი 2023 წლის 15 მაისის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №2185/01; 16.05.2023) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

სამინისტროდან და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებთან დაკავშირებით სასამართლო საქმეების სტატისტიკა შემდეგნაირია:

1) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: სულ - 13 სასამართლო საქმე, მათ შორის:

2012 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელშიც მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა;

2013 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2016 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელიც არ დაკმაყოფილდა;

2017 წელი - 5 სასამართლო საქმე, საიდანაც 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები, ხოლო 2 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან ერთ შემთხვევაში კომპენსაციის თანხამ შეადგინა - 12 900 ლარი, ხოლო განაცდურის - 81 362 ლარი; მეორე შემთხვევაში კომპენსაციის თანხამ შეადგინა - 12 900 ლარი, ხოლო განაცდურის - 67 725 ლარი; მესამე შემთხვევაში განაცდურის თანხამ შეადგინა - 20 900 ლარი;

2019 წელი - 2 სასამართლო საქმე, საიდანაც ერთ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და განაცდურის თანხამ შეადგინა 8 100 ლარი, ხოლო მეორე სასამართლო საქმე მიმდინარეა;

2022 წელი - 2 მიმდინარე სასამართლო საქმე.

2) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი: სულ - 8 სასამართლო საქმე, მათ შორის:

2013 წელი - 2 სასამართლო საქმე, საიდანაც ერთ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და კომპენსაციის თანხამ შეადგინა 2625 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

2015 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელიც არ დაკმაყოფილდა;

2016 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2018 წელი - 6 სასამართლო საქმე, საიდანაც 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა, ხოლო 3 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან განაცდურის თანხამ შეადგინა ჯამში - 200 984,73 ლარი.

3) სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი: სულ - 3 სასამართლო საქმე, მათ შორის:

2014 წელი - 1 სასამართლო საქმე. სარჩელი განუხილველი დარჩა;

2016 წელი - 1 სასამართლო საქმე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

2020 წელი - 1 სასამართლო საქმე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“: სულ - 29 სასამართლო საქმე, მათ შორის:

2015 წელი - 7 სასამართლო საქმე, რომელშიც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან განაცდურისა და კომპენსაციის თანხამ შეადგინა: 1. განაცდური - 3 641.38 ლარი; 2. კომპენსაცია - 21 500 ლარი; 3. კომპენსაცია - 2 500 ლარი; 4. განაცდური - 3 600 ლარი; 5. განაცდური - 21 058.06 ლარი; 6. განაცდური - 16 954.84 ლარი; 7. კომპენსაცია - 28 800 ლარი;

2016 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელიც არ დაკმაყოფილდა;

2017 წელი - 4 სასამართლო საქმე, საიდანაც 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა, ხოლო 1 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან განაცდურისა და კომპენსაციის თანხამ შეადგინა: 1. კომპენსაცია - 14 400 ლარი; 2. კომპენსაცია - 19 200 ლარი; 3. განაცდური - 27 138.58 ლარი;

2018 წელი - 11 სასამართლო საქმე, რომელშიც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან განაცდურისა და კომპენსაციის თანხამ შეადგინა: 1. განაცდური - 58 720 ლარი; 2. განაცდური - 70 300 ლარი; 3. კომპენსაცია - 28 800 ლარი; 4. კომპენსაცია - 10 400 ლარი; 5. კომპენსაცია - 28 800 ლარი; 6. კომპენსაცია - 28 800 ლარი; 7. კომპენსაცია - 25 840 ლარი; 8. განაცდური - 37 329.68 ლარი; 9. კომპენსაცია - 59 693.88 ლარი; 10. კომპენსაცია - 10 628.40 ლარი; 11. კომპენსაცია - 38 000 ლარი;

2019 წელი - 5 სასამართლო საქმე, საიდანაც 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა, ხოლო 2 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეთა მიმართ დაკმაყოფილებული საქმეებიდან განაცდურისა და კომპენსაციის თანხამ შეადგინა: 1. განაცდური - 10 400 ლარი; 2. განაცდური - 11 250 ლარი; 3. კომპენსაცია - 4 584 ლარი;

2020 წელი - 1 სასამართლო საქმე, რომელშიც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და განაცდურის თანხამ შეადგინა - 102 561.91 ლარი.

5) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“: 2017 წელს 1 სასამართლო საქმე, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი